



IBSU

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ხარისხის მართვის სისტემის დოკუმენტაცია

სამუშაო ადგილზე ჯანდაცვისა და უსაფრთხოების წესები

დამტკიცებულია მმართველი საბჭოს მიერ - 25/09/2015 წ. - გადაწყვეტილება №1 (დანართი №1)

დამტკიცებულია

ქვემოთ მოცემული ხელმოწერები ადასტურებს, რომ აღნიშნული დოკუმენტი
წაკითხული და მიღებულია.

ხელმოწერის ავტორები ადასტურებენ, რომ ისინი ნამდვილად ფლობენ წინამდებარე
დოკუმენტში არსებულ ინფორმაციას და უზრუნველყოფენ მასში ასახული პირობების
განხორციელებას.

მოამზადა: იურიდიული სამსახური

შეამოწმა: ხარისხის მთლიანი მართვის საბჭო

დამტკიცა: მმართველი საბჭო

დოკუმენტის No: IBSU.R18.G

ვერსია: 1.00

განახლების

თარიღი: 27/04/2018

შეუმოწმებელი ვერსია შემოწმებული ვერსია

დამტკიცების თარიღი:

25/09/2015

შსსუ-ს კუთვნილი დოკუმენტაცია.

წინამდებარე დოკუმენტით სარგებლობამდე, დარწმუნდით, რომ დოკუმენტაციის
ჩამონათვალში აღნიშნულ დოკუმენტს აქვს საბოლოო განახლების ნომერი.

ცვლილებების მოთხოვნის შემთხვევაში ხარისხის მართვის კომისიას წარუდგინეთ
დოკუმენტის ცვლილებების მოთხოვნის ფორმა.

შინაარსი

შეტანილი ცვლილებები 3

ცვლილებების ნუსხა 4

თავი I. ზოგადი დებულებები..... 5

მუხლი 1. მიზანი და მოქმედების ფარგლები 5

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები..... 5

თავი II. საგანგებო შტაბი..... 8

მუხლი 3. საგანგებო შტაბის მიზნები და ამოცანები..... 8

მუხლი 4. საგანგებო შტაბის სტრუქტურა და ფუნქციები 8

თავი III. უსაფრთხოების წესები 9

მუხლი 5. ქცევის წესები..... 9

მუხლი 6. თამბაქოს საწინააღმდეგო პოლიტიკა..... 10

მუხლი 7. ელექტროუსაფრთხოება..... 10

მუხლი 8. შესყიდვა..... 11

მუხლი 9. მესამე პირები 11

მუხლი 10. გარე მომსახურება..... 11

მუხლი 11. ბავშვები 11

მუხლი 12. უსაფრთხოების წესების დაცვა შპს-ს გარეთ განხორციელებული აქტივობების დროს 11

მუხლი 13. დალაგება..... 12

მუხლი 14. მუშაობა სამუშაო საათების შემდეგ 12

მუხლი 15. ხანძრის დროს: 13

მუხლი 16. ევაკუაცია..... 13

თავი IV. დასკვნითი დებულებები 15

მუხლი 17. ძალაში შესვლა 15

მუხლი 18. შესრულებაზე ზედამხედველობა 15

შეტანილი ცვლილებები

#	გადაწყვეტილების მიმღები ორგანო	ოქმის №	თარიღი
1.	მმართველი საბჭო	5	15.03.2018
2.	მმართველი საბჭო	8	27.04.2018

თავდაპირველი რედაქცია: 25.09.2015

ცვლილებების ნუსხა

#	თარიღი	მუხლი	შენიშვნა
01	15.03.2018	4	საგანგებო შტაბის შემადგენლობა
02	15.03.2018	9	მესამე პირები
03	15.03.2018	12	შხსუ-ს გარეთ განხორციელებული საქმიანობის დროს უსაფრთხოების წესების დაცვა
04	15.03.2018	15	მოქმედება ხანძრის დროს
05	27.04.2018	6	თამბაქოს საწინააღმდეგო პოლიტიკა

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. მიზანი და მოქმედების ფარგლები

- 1.1. წინამდებარე დოკუმენტის მიზანია, შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ ტერიტორიაზე ისეთი ზოგადი საორგანიზაციო ხასიათის აქტივობების განხორციელება, რომლებიც სტუდენტებს, თანამშრომლებსა და მესამე პირებს დაიცავს ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის პროცესებისაგან. აგრეთვე უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების, მისი განვითარების შემთხვევაში შედეგების შერბილებისა და ლიკვიდაციის ღონისძიებების განხორციელებას.
- 1.2. წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებულია „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და განსაზღვრავს საგანგებო სიტუაციის დროს საჭირო მოქმედებებსა და მათი განხორციელების გზებს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

- 2.1. **შოსუ** – შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“;
- 2.2. **სტუდენტი** – შოსუ-ს აკადემიური, მოსამზადებელი კურსის და სასერტიფიკატო კურსის სტუდენტი;
- 2.3. **თანამშრომელი** – შოსუ-სთან შრომით ურთიერთობაში მყოფი ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალი;
- 2.4. **მესამე პირი** – შოსუ-ს ტერიტორიაზე მყოფი ფიზიკური პირი, რომელიც არ არის შოსუ-ს სტუდენტი და/ან თანამშრომელი;
- 2.5. **საგანგებო სიტუაცია** – შოსუ-ს ტერიტორიაზე ისეთი კრიზისული ვითარება, რომელიც ხასიათდება სტუდენტთა, თანამშრომელთა და მესამე პირთა ჩვეული საქმიანობის დარღვევით, გამოწვეულია კატასტროფით, ხანძრით, სტიქიური უბედურებით, ეპიდემიით და რომელიც საფრთხეს უქმნის ან/და შეიძლება საფრთხე შეუქმნას სტუდენტთა, თანამშრომელთა, მესამე პირთა სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, იწვევს ან შეიძლება გამოიწვიოს მსხვერპლი, ადამიანთა დაშავება ან/და მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.
- 2.6. **საგანგებო სიტუაციის ზონა** – განსაზღვრული ტერიტორია ან აკვატორია, სადაც წარმოიქმნა საგანგებო სიტუაცია.

- 2.7. **საგანგებო სიტუაციის რისკი** – საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის შესაძლებლობა, რომელიც განისაზღვრება საფრთხის წინაშე მდგარი ადამიანის სიცოცხლეზე, ჯანმრთელობასა და ქონებაზე, აგრეთვე გარემოზე უარყოფითი ზემოქმედებითა და შედეგებით.
- 2.8. **საგანგებო სიტუაციის რისკის შეფასება** – პოტენციური საფრთხის ანალიზისა და არსებული მოწყვლადობის შეფასებით მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციის ხასიათისა და მასშტაბის, საფრთხის წინაშე მდგარი ადამიანის სიცოცხლეზე, ჯანმრთელობასა და ქონებაზე, აგრეთვე გარემოზე უარყოფითი ზემოქმედებისა და შედეგების მაჩვენებლების განსაზღვრის პროცესი.
- 2.9. **საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება და მათი შედეგების ლიკვიდაცია** – საგანგებო სიტუაციებზე საგანგებო შტაბის მიერ ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის, მისი ჯანმრთელობის შენარჩუნების, მატერიალური ზიანისა და გარემოს დაზიანების შემცირების, აგრეთვე საგანგებო სიტუაციის ზონის ლოკალიზების მიზნით ამ ზონაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ხანძრის ჩაქრობა, ვითარების შესწავლა-შეფასება, საავარიო-სამაშველო სამუშაოებისა და სხვა გადაუდებელი სამუშაოების ჩატარება.
- 2.10. **საგანგებო სიტუაციის ზონაში აღდგენითი სამუშაოები** – პირველი რიგის, გადაუდებელი ღონისძიებების კომპლექსი, რომელსაც საგანგებო შტაბი ახორციელებს საგანგებო სიტუაციის ზონაში სასიცოცხლო პროცესებისა და სოციალური ყოფის აღდგენის, სტუდენტთა, თანამშრომელთა, მესამე პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის და მათი საქმიანობის ყოველმხრივ უზრუნველყოფის მიზნით.
- 2.11. **საავარიო-სამაშველო სამუშაოები** – მოქმედებები, რომლებიც მიმართულია ადამიანის სიცოცხლისა და ქონების გადარჩენისაკენ, აგრეთვე ავარიის, კატასტროფისა და საგანგებო სიტუაციისათვის დამახასიათებელი საშიში ფაქტორების შედეგების მინიმუმამდე შემცირებისაკენ.
- 2.12. **სამაშველო სამუშაოები** – მოქმედებები, რომლებიც ხორციელდება ინციდენტის ან საგანგებო სიტუაციის დროს ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონების გადასარჩენად.

-
- 2.13. **სხვა გადაუდებელი სამუშაოები** – სასწრაფო-სამედიცინო და სხვა გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა, სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური ღონისძიებების განხორციელება, ტერიტორიის სანიტარიული გაწმენდა და დეკონტამინაცია, საგანგებო სიტუაციის ზონაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა.
- 2.14. **საგანგებო შტაბი** – შხსუ-ს ტერიტორიაზე სამოქალაქო უსაფრთხოების დაცვის მიზნით შექმნილი სტრუქტურული ერთეული.

თავი II. საგანგებო შტაბი

მუხლი 3. საგანგებო შტაბის მიზნები და ამოცანები

- 3.1. შსს-ს ტერიტორიაზე სამოქალაქო უსაფრთხოების დაცვის მიზნით რექტორის ბრძანებით იქნება საგანგებო შტაბი.
- 3.2. საგანგებო შტაბის მიზნები:
 - 3.2.1. საგანგებო სიტუაციის რისკის იდენტიფიცირება და შეფასება;
 - 3.2.2. საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება და მათი შედეგების ლიკვიდაცია;
 - 3.2.3. საგანგებო სიტუაციის ზონაში აღდგენითი სამუშაოების, საავარიო-სამაშველო სამუშაოების და სხვა გადაუდებელი სამუშაოების განხორციელება, აგრეთვე მსგავსი ტიპის სამუშაოების განსახორციელებლად შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებთან დაკავშირება.

მუხლი 4. საგანგებო შტაბის სტრუქტურა და ფუნქციები

- 4.1. საგანგებო შტაბის წევრები არიან:
 - 4.1.1. საგანგებო შტაბის უფროსი;
 - 4.1.2. საგანგებო სიტუაციების დროს ევაკუაციაზე პასუხისმგებელი პირი;
 - 4.1.3. შესყიდვებზე პასუხისმგებელი პირი;
ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2018 წლის 15 მარტის გადაწყვეტილებით - ოქმი №5
 - 4.1.4. ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი;
 - 4.1.5. სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი;
 - 4.1.6. სამაშველო სამუშაოების ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირი;
 - 4.1.7. უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.
- 4.2. საგანგებო შტაბის წევრთა ფუნქციები განსაზღვრულია შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის შინაგანაწესით“ - IBSU.R1.

თავი III. უსაფრთხოების წესები

მუხლი 5. ქცევის წესები

- 5.1. თანამშრომელთა მიერ სამუშაო ადგილზე დაცული უნდა იყოს შემდეგი წესები:
 - 5.1.1. პოტენციური საფრთხის შემცველ ადგილებზე მოერიდეთ გაუფრთხილებელ ქმედებებსა და სირბილს;
 - 5.1.2. საფრთხის შემცველ ადგილებზე იყავით მობილიზებული და ყურადღებით;
 - 5.1.3. დარწმუნდით რომ, სამუშაო ჩაცმულობა შეესაბამება სამუშაო პირობებს - შიშველი ფეხებით და ღია ფეხსაცმლით შესვლა აკრძალულია ლაბორატორიებში, სამზარეულოში და სხვა საფრთხის შემცველ ადგილებში;
 - 5.1.4. დამცავი ტანსაცმლისა და სამუშაო ინვენტარის გამოყენება, შენახვა და შეკეთება მოახდინეთ შესაბამისი უსაფრთხოების წესების დაცვით;
 - 5.1.5. სამუშაო ადგილზე შესვლისას და გამოსვლისას ყურადღებით გააღეთ და დაკეტეთ კარები;
 - 5.1.6. საკვებისა და სასმელი ნივთიერებების მოხმარება და შენახვა უზრუნველყავით სპეციალურად ამისათვის გამოყოფილ ადგილას - სამზარეულოში. ცალკეულ ადგილებში - მაგ. ლაბორატორიებში საკვები და სასმელი ნივთიერებების შენახვა არ შეიძლება;
 - 5.1.7. საკვები და სასმელი ნივთიერებები შეინახეთ სპეციალურად ამისათვის გამოყოფილ ადგილას;
 - 5.1.8. პოტენციურად საფრთხის შემცველ სამუშაო ადგილზე შეაფასეთ არსებული საფრთხე და იყავით ყურადღებით მოძრაობისა და/ან ნივთების გადაადგილებისას;
 - 5.1.9. ისეთი საქმიანობის განხორციელებამდე, რომელიც იწვევს, ან შეიძლება გამოიწვიოს აალება, გაწმინდეთ ტერიტორია აალებადი მასალებიდან და მტვრისგან;
 - 5.1.10. უსაფრთხოების მოწყობილობა და ინვენტარი შეინახეთ მწარმოებლის მოთხოვნების შესაბამისად;
 - 5.1.11. უზრუნველყავით, რომ უსაფრთხოების მოწყობილობა შესაბამისი თანამშრომლებისათვის ადვილად ხელმისაწვდომი იყოს;

- 5.1.12. საჭიროების შემთხვევაში, სამუშაო ადგილებზე მოათავსეთ გამაფრთხილებელი ნიშნები. თუ ტერიტორია საფრთხის შემცველია, ტერიტორიის შესასვლელზე მოათავსეთ შესვლაზე შეზღუდვის/აკრძალვის ნიშანი.

მუხლი 6. თამბაქოს საწინააღმდეგო პოლიტიკა

- 6.1. შხსუ-ში თამბაქოს არ ეწევიან (გარდა ამისათვის სპეციალურად გამოყოფილი ადგილებისა). მოწვევა აკრძალულია უნივერსიტეტის ტერიტორიაზე და შენობაში. აკრძალვა ეხება სტუდენტებს, თანამშრომლებსა და მესამე პირებს. უნივერსიტეტის პოლიტიკის შესაბამისად, უნივერსიტეტის ტერიტორიაზე აკრძალულია თამბაქოს რეკლამირება, გავრცელება, სპონსორობა და თამბაქოსთან დაკავშირებული სხვა პირდაპირი თუ არაპირდაპირი აქტივობები.

[შხსუ-ს შენობაში და ტერიტორიაზე თამბაქოსა და თამბაქოს ნაწარმის მოხმარება აკრძალულია. აკრძალვა ეხება სტუდენტებს, თანამშრომლებსა და მესამე პირებს. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე აკრძალულია თამბაქოსა და მისი ნაწარმის რეკლამირება, გავრცელება, სპონსორობა და თამბაქოსთან დაკავშირებული სხვა პირდაპირი თუ არაპირდაპირი აქტივობები. (ამოქმედდეს 2018 წლის 01 მაისიდან)]

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2018 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილებით - ოქმი №8

- 6.2. შხსუ-ში თამბაქოს მოხმარება ნებადართულია მხოლოდ ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილას.

[ნებისმიერი პირი უფლებამოსილია დარღვევის შემთხვევაში მოსთხოვოს დამრღვევს ქმედების აღკვეთა. დამრღვევს დაეკისრება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პასუხისმგებლობა. (ამოქმედდეს 2018 წლის 01 მაისიდან)]

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2018 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილებით - ოქმი №8

მუხლი 7. ელექტროუსაფრთხოება

- 7.1. შხსუ-ს ტერიტორიაზე გამოყენებული ელექტრონული მოწყობილობა უნდა იყოს შემოწმებული და უნდა შეესაბამებოდეს შხსუ-ში განსაზღვრულ ტექნიკურ სტანდარტს.
- 7.2. შხსუ-ს თანამშრომლებმა ელექტრონული ხელსაწყოების გამოყენებისას უნდა დაიცვან უსაფრთხოების წესები.

მუხლი 8. შესყიდვა

- 8.1. სამუშაო ადგილისათვის შეძენილი ინვენტარი/მოწყობილობა უნდა შეესაბამებოდეს უსაფრთხოების წესებს. მხოლოდ იმ ინვენტარის/მოწყობილობის გამოყენება შეიძლება, რომელიც არის უსაფრთხო. ინდივიდი, რომელიც იძენს ხელსაწყოს/ინვენტარს უნდა დარწმუნდეს, რომ მისი გამოყენება არ არის დაკავშირებული რისკებთან/ არ არის საფრთხის შემცველი.

მუხლი 9. მესამე პირები

- 9.1. მესამე პირთა მიერ ისეთ ადგილებში შესვლა, სადაც შესვლა შეზღუდულია, დასაშვებია, თუ ეს გამომდინარეობს სამუშაოს ხასიათიდან/საჭიროებიდან და ასეთი შესვლა საფრთხეს არ შეუქმნის მესამე პირის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2018 წლის 15 მარტის გადაწყვეტილებით - ოქმი №5

მუხლი 10. გარე მომსახურება

- 10.1. შენობის დაგეგმვის, შეკეთების, მცენარეთა დარგვის, დამონტაჟებისა და სხვა მსგავსი ტიპის სამუშაოები, რომლებიც ხორციელდება გარე მომსახურებით, უნდა მიმდინარეობდეს შსსუ-ს შესაბამისი პირის მეთვალყურეობის ქვეშ, რათა დაცული იყოს ამ პირთა შრომის უსაფრთხოება. შსსუ პასუხისმგებელია მის ტერიტორიაზე მომუშავე ყველა პირზე და მათი უსაფრთხოებაზე.

მუხლი 11. ბავშვები

- 11.1. შსსუ-ს ტერიტორიაზე ბავშვების მოყვანის შემთხვევაში, საჭიროა მათი მუდმივი მეთვალყურეობა მშობლის ან მეურვის მიერ. არ შეიძლება ბავშვების შეშვება საფრთხის შემცველ ადგილებში - ლაბორატორიებში, სამზარეულოში და აგრეთვე ნებისმიერ სხვა ადგილას, სადაც ზედამხედველი პირი ჩათვლის რომ ბავშვებისათვის საფრთხე არსებობს.

მუხლი 12. უსაფრთხოების წესების დაცვა შსსუ-ს გარეთ განხორციელებული აქტივობების დროს

- 12.1. შსსუ-ს ტერიტორიის გარეთ შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა სამუშაოები. სტუდენტები, თანამშრომლები და მესამე პირები

ვალდებულები არიან შეაფასონ რისკები და საჭიროების შემთხვევაში მიიღონ შესაბამისი ზომები.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2018 წლის 15 მარტის გადაწყვეტილებით - ოქმი №5

მუხლი 13. დალაგება

- 13.1. სამუშაო ადგილის სისტემატიური დალაგება ხშირ შემთხვევაში თავიდან გვაცილებს ფიზიკურ დაზიანებებს. სამუშაო ადგილის დალაგება მოიცავს ისეთ ქმედებებს როგორცაა:
 - 13.1.1. იატაკების სუფთა და მშრალ მდგომარეობაში ყოფნა;
 - 13.1.2. კარების სახელურებისა და ონკანის სახელურების ყოველკვირეული წმენდა;
 - 13.1.3. ნაგვის ყოველდღიური გადაყრა;
 - 13.1.4. სამუშაო ადგილის სუფთა მდგომარეობაში ყოფნა, საფრთხისშემცველი მასალებისა და ინვენტარის შენახვა;
 - 13.1.5. გასასვლელებისა და პირველადი დახმარებისათვის აუცილებელი საშუალებების ხელმისაწვდომობა და მათი დაბრკოლებებისაგან გათავისუფლება;
 - 13.1.6. მინისა და ადვილადმტვრევადი, მჭრელი საგნების იატაკიდან დროულად აღება;
 - 13.1.7. გარე მომსახურების განმახორციელებელი პირებისათვის ადვილადააღებადი საგნებისა და საფრთხის შემცველი ადგილების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
 - 13.1.8. საწმენდი საშუალებების უსაფრთხო ადგილას შენახვა;
 - 13.1.9. სამუშაო ადგილის ბოლოს დატოვების შემთხვევაში, ყველა ხელსაწყოს გამორთვა/უსაფრთხო რეჟიმზე გადაყვანა.

მუხლი 14. მუშაობა სამუშაო საათების შემდეგ

- 14.1. სამუშაო საათების შემდეგ მუშაობის დროს ყურადღება უნდა მიექცეს უბედური შემთხვევის, დაზიანების ან დაავადების თავიდან აცილების მექანიზმებს.
- 14.2. იმ პირებს, რომლებიც მუშაობას აგრძელებენ სამუშაო საათების გარეთ, უნდა მოეთხოვოთ შემდეგი წესების დაცვა:

- 14.2.1. დარწმუნდნენ, რომ შენობის კარები დაკეტილია შესვლის ან გამოსვლის დროს, განათება და სხვა ელექტროხელსაწყოები გამორთულია;
- 14.2.2. დარწმუნდნენ, რომ შიდა კარები არ არის დაკეტილი;
- 14.2.3. დარწმუნდნენ, რომ ახსოვთ შრომის უსაფრთხოების წესები და საგანგებო მდგომარეობის დროს საკონტაქტო პირის ნომრები;
- 14.2.4. არ მისცენ სხვას უსაფრთხოების კოდები, გასაღები, ან ტერიტორიაზე შესასვლელი ბარათები;
- 14.2.5. არ შეუშვან ტერიტორიაზე არაუფლებამოსილი პირები;
- 14.2.6. აცნობონ უნივერსიტეტის უსაფრთხოების სამსახურს საექვო, საფრთხის შემცველი ქმედების შესახებ.

მუხლი 15. ხანძრის დროს:

15.1. განგაშის სიგნალი:

15.1.1. თუ უსაფრთხოა, უზრუნველყავით ხანძარში მოხვედრილი ყველა პირის უსაფრთხოება.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2018 წლის 15 მარტის გადაწყვეტილებით - ოქმი №5

15.1.2. დარეკეთ ნომერზე 112. მიუთითეთ თქვენი სახელი, გვარი, მისამართი, ხანძრის/კვამლი წარმოშობის მიზეზი და გავრცელების არეალი და შესამდებლობის შემთხვევაში აცნობეთ თქვენს უშუალო უფროსს ან დაცვის სამსახურს;

15.1.3. დაუკავშირდით საგანგებო შტაბს.

15.2. ხანძრის ჩაქრობა:

15.2.1. თუ უსაფრთხოა და თუ შესაბამისი სწავლება გავლილი გაქვთ სახანძრო ინვენტარის გამოყენებაში, შეეცადეთ ხანძრის ჩაქრობა. არ გამოიყენოთ სახანძრო შლანგის ხვეულა, წყალი ან ქაფი ელექტროენერჯის შედეგად გაჩენილ ხანძარზე.

მუხლი 16. ევაკუაცია

16.1. უზრუნველყავით შენობის ევაკუაცია ევაკუაციის გეგმის შესაბამისად. მიდით უახლოეს გასასვლელამდე, იარეთ მშვიდი ნაბიჯებით და არ გამოიყენოთ ლიფტი. გასვლისას დახურეთ (მაგრამ არ ჩაკეტოთ) კარები და ფანჯრები, განათება დატოვეთ ჩართული.

-
- 16.2. შენობიდან გამოსვლის შემდეგ არ შეხვიდეთ შენობაში სანამ საგანგებო შტაბის წარმომადგენელი არ გაცნობეთ რომ შესვლა უსაფრთხოა.

თავი IV. დასკვნითი დებულებები

მუხლი 17. ძალაში შესვლა

- 17.1. წინამდებარე დებულება ძალაშია მმართველი საბჭოს მიერ დამტკიცებისთანავე და ამოქმედდება 2015-2016 სასწავლო წლიდან.

მუხლი 18. შესრულებაზე ზედამხედველობა

- 18.1. წინამდებარე დებულებით განსაზღვრული წესების შესრულებაზე ზედამხედველობა განხორციელდება კანცლერის მიერ.

უნივერსიტეტის წესების შეუსრულებლობა დაუშვებელია. ყველა ვალდებულია იცნობდეს შსს-ს მიერ შემუშავებულ წესებსა და რეგულაციებს.

შსს ყველას თანაბარ შესაძლებლობებს სთავაზობს, განურჩევლად სქესის, რასის, ეროვნების, წარმომავლობის, რწმენის, საზოგადოებრივი სტატუსის, ფიზიკური, გონებრივი, ემოციური სხვაობისა და სწავლის განსხვავებული უნარისა.

გამოსცა:

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დავით აღმაშენებლის ხეივანი, 13 კმ., 2, 0131
თბილისი, საქართველო
www.ibsu.edu.ge
contact@ibsu.edu.ge

